

შპს ჯევიკე ჰოსფითალითი

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2023
წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

შპს ჯევიკე ჰოსფითალითი

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა..... 2-5

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში.....	6
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში.....	7
კაპიტალის ცვლილების ანგარიში.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში.....	9

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:

1. შპს ჯევიკე ჰოსფითალითი და მისი საქმიანობა	10
2. სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ არსებითი ინფორმაციის მიმოხილვა	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაზე	21
4. შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ამოქმედება	22
5. ფუნქციონირებადი საწარმო	23
6. ძირითადი საშუალებები	24
7. საინვესტიციო კონება	25
8. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები.....	25
9. მარაგები	26
10. გაცემული სესხები.....	26
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	26
12. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	26
13. საწესდებო კაპიტალი.....	27
14. მიღებული სესხები	27
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	28
16. შემოსავალი	28
17. საოპერაციო ხარჯები.....	28
18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	28
19. საპროცენტო ხარჯი	28
20. (ზარალი)/მოგება სავალუტო ოპერაციებიდან, წმინდა.....	29
21. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები.....	29
22. ფინანსური რისკების მართვა.....	30
23. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	33
24. შემდგომი მოვლენები.....	35

შპს ჯევიკე ჰოსფიტალითი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ჯევიკე ჰოსფიტალითი“-ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 31 ივლისს.

შიშუ პალ ბურდაკი
დირექტორი

მურად ბერულავა
ბუღალტერი

2024 წლის 31 ივლისი
საქართველო, თბილისი

2024 წლის 31 ივლისი
საქართველო, თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჯევიკე ჰოსფიტალითი-ს მფლობელებსა და დირექტორებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ დაგვიქირავეს შპს ჯევიკე ჰოსფიტალითი-ს (კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც მოიცავს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხისა, მოცემული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიამ დააგენერირა 3,991,303 ლარი შემოსავალი სასტუმროს გაქირავებიდან დაკავშირებული მხარისგან, თუმცა კომპანიას არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება და აღნიშნული შემოსავალი აღრიცხულია როგორც სავაჭრო მოთხოვნა (შენიშვნა 11). ჩვენ ვერ შევძელით აღნიშნული შემოსავლის სიზუსტეში დარწმუნება. ვინაიდან შემოსავალი და სავაჭრო მოთხოვნის ნაშთი, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული მოგების და შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივართ. ჩვენ ვერ შევძელით 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი ძირითადი საშუალებების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან ძირითადი საშუალებების ნაშთები, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშებში ასახული მოგების და შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიცავს 118,128 ლარის და 118,682 ლარის, შესაბამისად, სავაჭრო ვალდებულებებს (შენიშვნა 15). ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება რათა შეგვემოწმებინა აღნიშნული ნაშთების ღირებულების სისწორე და არსებობა. ასევე ჩვენ ვერ შევძელით აღნიშნული ნაშთების ღირებულების და არსებობის შემოწმება ალტერნატიული გზით. ვინაიდან აღნიშნული ნაშთები ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშებში ასახული მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ხელმძღვანელობამ ვერ გაამყდენა საინვესტიციო ქონების მიმდინარე მშენებლობის სამართლიანი ღირებულება როგორც ეს მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის 40-ის მიხედვით რადგან ხელმძღვანელობას არ ჩაუტარებია საინვესტიციო ქონების მიმდინარე მშენებლობის სამართლიანი ღირებულების შეფასება.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ამ ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ-ის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

არსებითი განუსაზღვრელობა ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიას აქვს არსებობის პერსპექტივა. როგორც განხილულია ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში, კომპანიის შესაძლებლობა ჰქონდეს არსებობის პერსპექტივა, დამოკიდებულია კომპანიის შემოსავლებზე. აღნიშნული გარემოებები ან პირობები სხვა საკითხებთან ერთად, რომელიც მითითებულია მე-5 შენიშვნაში, მიუთითებს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არსებითი ეჭვი კომპანიის შესაძლებლობაზე ჰქონდეს არსებობის პერსპექტივა. ხელმძღვანელობის გეგმები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ასევე განხილულია ფინანსური ანგარიშგებების მე-5 შენიშვნაში. ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს შესწორებებს, რომელიც შესაძლოა განპირობებული იყოს ასეთი გაურკვევლობის შედეგად. ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან/და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნებულება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით ან/და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, გავცეთ

ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის. რისკი იმისა რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია, ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს მართვის საკონსულტაციო ჯგუფი

ვლადიმერ ჩიტაია

2024 წლის 31 ივლისი
თბილისი, საქართველო

შპს ჯევიკე ჰოსფიტალითი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	283,681	368,545
არამატერიალური აქტივები		13,347	7,585
საინვესტიციო ქონება	7	54,398,660	50,268,862
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	8	593,555	104,310
გაცემული სესხები	10	-	1,631,661
სულ გრძელვადიანი აქტივები		55,289,243	52,380,963
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	9	8,041	4,743
გაცემული სესხები	10	865,719	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	3,991,303	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	27,631	185,634
სულ მიმდინარე აქტივები		4,892,694	190,377
სულ აქტივები		60,181,937	52,571,340
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	34,659,305	32,647,033
გაუნაწილებელი მოგება		8,869,800	4,814,155
სულ კაპიტალი		43,529,105	37,461,188
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	12,979,332	12,242,824
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		12,979,332	12,242,824
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	891,564	866,294
საგადასახადო ვალდებულებები		862,365	265,251
მიღებული სესხები	14	1,919,571	1,735,783
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,673,500	2,867,328
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		60,181,937	52,571,340

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 31 ივლისს.

შიშუ პალ ბურდაკი
დირექტორი

მურად ბერულავა
ბუღალტერი

2024 წლის 31 ივლისი
საქართველო, თბილისი

2024 წლის 31 ივლისი
საქართველო, თბილისი

10-35 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ჯევიკე ჰოსფიტალითი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	16	4,276,412	-
საოპერაციო ხარჯები	17	(758,186)	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(521,058)	(777,842)
საპროცენტო შემოსავალი		123,695	86,665
გაცემული სესხის თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულებით აღრიცხვის შედეგად მიღებული მოგება/(ზარალი)		191,999	(444,254)
საპროცენტო ხარჯი	19	(1,130,190)	-
საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი		2,204,612	6,031,646
(ზარალი)/მოგება სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	20	(303,294)	1,760,899
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა		(28,345)	(24,061)
მოგება გადასახადამდე		4,055,645	6,633,053
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლიური მოგება		4,055,645	6,633,053
წლიური სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		4,055,645	6,633,053

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 31 ივლისს.

შიშუ პალ ბურდაკი
დირექტორი

მურად ბერულავა
ბუღალტერი

2024 წლის 31 ივლისი
საქართველო, თბილისი

2024 წლის 31 ივლისი
საქართველო, თბილისი

10-35 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ჯევიკე ჰოსფიტალითი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	(დაგროვილი ზარალი)/გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2022	24,589,882	(1,818,898)	22,770,984
კაპიტალის ზრდა	8,057,151	-	8,057,151
სულ წლის სრული შემოსავალი	-	6,633,053	6,633,053
გადახდილი დივიდენდები	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	32,647,033	4,814,155	37,461,188
კაპიტალის ზრდა	2,012,272	-	2,012,272
სულ წლის სრული შემოსავალი	-	4,055,645	4,055,645
გადახდილი დივიდენდები	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	34,659,305	8,869,800	43,529,105

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 31 ივლისს.

შიშუ პალ ბურდაკი
დირექტორი

მურად ბერულავა
ბუღალტერი

2024 წლის 31 ივლისი
საქართველო, თბილისი

2024 წლის 31 ივლისი
საქართველო, თბილისი

10-35 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ჯევიკე ჰოსფიტალითი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
შემოსავალი მოგების გადასახადის შემდეგ		4,055,645	6,633,053
შემდეგი პუნქტებით გამოწვეული კორექტირებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	18	96,022	79,338
არამატერიალური აქტივების ჩამოწერა		-	8,492
საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი	7	(2,204,612)	(6,031,646)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, წმინდა		16,093	792
გაცემული სესხის თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულებით აღრიცხვის შედეგად მიღებული (შემოსავალი)/ზარალი		(191,999)	444,254
საპროცენტო ხარჯი		1,130,190	-
საპროცენტო შემოსავალი		(123,695)	(86,665)
ზარალი/(შემოსავალი) სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	20	303,294	(1,760,899)
ფულადი სახსრები დაგენერირებული/(გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობაში საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		3,080,938	(713,281)
მარაგების (ზრდა)/შემცირება		(3,298)	608,176
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(3,860,076)	-
გადახდილი ავანსების შემცირება		-	4,730,657
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		597,109	(368,536)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		25,448	446,936
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		(159,879)	4,703,952
მიღებული პროცენტი		-	-
გადახდილი პროცენტი		(1,132,118)	(756,565)
წმინდა ფულადი სახსრები (გამოყენებული)/დაგენერირებული საოპერაციო საქმიანობაში		(1,291,997)	3,947,387
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
არამატერიალური აქტივების შეძენა		(5,760)	(1,300)
ძირითადი საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები		(11,158)	(107,236)
საინვესტიციო ქონებაზე გადახდილი თანხები		(2,430,524)	(16,037,772)
კაპიტალის ზრდა		2,012,272	8,057,151
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(435,170)	(8,089,157)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების აღებით მიღებული თანხები	14	2,199,606	7,467,629
სესხების დაბრუნება	14	(1,710,551)	(1,135,620)
გაცემული სესხები		(594,440)	(1,989,250)
გაცემული სესხების დაბრუნება		1,676,077	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		1,570,692	4,342,759
წმინდა (შემცირება)/ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(156,475)	200,989
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12	185,634	163,437
სავალუტო კურსის ცვლილებების ზეგავლენა ფულზე და ფულად ეკვივალენტებზე		(1,528)	(178,792)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	12	27,631	185,634

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 31 ივლისს.

შიშუ პალ ბურდაკი
დირექტორი

მურად ბერულავა
ბუღალტერი

2024 წლის 31 ივლისი
საქართველო, თბილისი

2024 წლის 31 ივლისი
საქართველო, თბილისი

10-35 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ჯევიკე ჰოსფიტალითი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. შპს ჯევიკე ჰოსფიტალითი და მისი საქმიანობა

შპს ჯევიკე ჰოსფიტალითი („კომპანია“, ს/კ 402073368) დაარსდა 2017 წლის 17 იანვარს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები იყვნენ შიშუ პალ ბურდაკ 1%-იანი წილით, კურიან ვარგესი 59%-იანი წილით და ჯეებენ ვარგჰისე კურიანი 40%-იანი წილით.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს სასტუმროს მშენებლობა მმართველობაში გადასაცემად და გასაქირავებლად.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია ისანის რაიონი, დოლაბაურის ქუჩა, #20ა, 20ბ, თბილისი, საქართველო.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

დასაქმებულთა რაოდენობა. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 14 და 29 თანამშრომელი, შესაბამისად.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიაში დასაქმებული იყო საშუალოდ 12 და 20 თანამშრომელი, შესაბამისად.

2. სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ არსებითი ინფორმაციის მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

უწყვეტი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, რომელიც, ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში, ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებათა დაფარვას. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი ტერმინები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით ფასდება. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გაანგარიშებისას, გაზომვის დღეს აქტივის ან ვალდებულების შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ მათ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა პირველი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- პირველი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება პირველ დონეში მოცემული კვოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კვოტირდება, თუ კვოტირებული ფასები რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, პატიოსანი გარიგების ტრანზაქციებს.

იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების

ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამაგრებული, თუ ამ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწრა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო გაცემულ ან მიღებულ ფულად ნაკადებს (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელებზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

კომპანიის ბიზნეს-მოდელის შეფასება მოხდა ფასს 9-ის პირველი გამოცენების დღის, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და მისი ოპერაციები მიზნად ისახავს გაქირავებიდან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას. ეს კომპანიის მთავარი ამოცანა და მისი რეგულარული საქმიანობაა. ისტორიულად კომპანიას კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არასოდეს გაუყიდა. წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ისინი პირველი ბიზნეს-მოდელით - „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობა“ (H2C) კლასიფიცირდება.

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით მისაღები ფულადი ნაკადები SPPI ტესტს აკმაყოფილებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო განაკვეთი არ ვრცელდება.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (1) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (2) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად გაყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე პირზე ამ გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსური ვალდებულებები შეფასების შემდეგ კატეგორიებად იყოფა: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რომლებშიც ასევე შედის ფინანსური წარმოებულები და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და, სადაც საჭიროა, გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშვება მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება-შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში განხორციელების დროს.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი ახდენს აღდგენითი ღირებულების შეფასებას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს შეფასების ცვლილებას აქტივის გამოყენებადი ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განსაზღვრულია საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

ცვეთა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:
მანქანა დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკა	5
სატრანსპორტო საშუალებები	10
სპეციალური ინსტრუმენტები	5

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონების მიმდინარე მშენებლობა. საინვესტიციო ქონების მიმდინარე მშენებლობას წარმოადგენს სასტუმროს მშენებლობა მმართველობაში გადასაცემად და გასაქირავებლად. საინვესტიციო ქონების მიმდინარე მშენებლობა წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთა ან/და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სასტუმრო იმყოფება მშენებლობის პროცესში და შესაბამისად ჯერ კომპანიას არ აქვს შემოსავალი მისი გაქირავებიდან. გამომუშავებული საიჯარო შემოსავლის აღრიცხვა მოხდება წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის მუხლში. საინვესტიციო ქონების ჩამოწრა ხდება მისი რეალიზაციის შედეგად ან მაშინ, როცა საინვესტიციო ქონება მუდმივად გამოუყენებელია და მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელი არ არის. ქონების ჩამოწერით მიღებული ნებისმიერი მოგება ან ზარალი (გამოითვლება როგორც სხვაობა წმინდა რეალიზაციასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შედის წლის მოგება ან ზარალში და სხვა სრული შემოსავლის მუხლში იმ პერიოდში, როდესაც მოხდა ქონების ჩამოწრა.

თუკი საინვესტიციო ქონებას დაიკავებს მფლობელი, ის რეკლასიფიცირდება როგორც ძირითადი საშუალება და რეკლასიფიცირების თარიღში მისი საბალანსო ღირებულება გახდება მისი ჩათვლილი ღირებულება საბუღალტრო მიზნებისთვის.

შემდგომი ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივების საბალანსო ღირებულებაზე მხოლოდ მაშინ, როდესაც ხარჯებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოტანა კომპანიისთვის სავარაუდოა და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა შეკეთება-შენარჩუნების ღირებულება აღიარდება ხარჯებში განხორციელების დროს.

საინვესტიციო ქონების მიმდინარე მშენებლობაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება სანამ არ მოხდება მშენებლობის დასრულება.

